



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ლეილი და მაჯუნნი

„ლეილი და მაჯუნნი“, არაბული ლეგენდა ამირის ტომის პოეტის, კაისისა, და ლეილის ტრაგიკული სიყვარულის შესახებ. სიყვარულით გახლებულ კაისს მაჯუნნი (შმაგი, შთაგონებული, შდრ. ქართ. მიჯნური) შეარქვეს. არაბ. ფოლკლორულ და, განსაკუთრებით, მწიგნობრულ წყაროებში VII–XI სს-ში შეიქმნა ამ სიყვარულის ამსახველი ეპიზოდების მთელი ციკლი (ბავშვობაში გამიჯნულება, მშობლების უარი, უდაბნოში გაჭრა, მეგობრის დახმარება და ა. შ.). პირველად ლიტერატურულად ეს ლეგენდა ნიზამი განჯევიმ დაამუშავა 1188. სპარსულ ენაზე დაწერილ რომანული ჟანრის ვრცელ პოემას მრავალი მიმბაძველი გაუჩნდა – როგორც საკუთრივ სპარს., ისე – თურქ. და სხვა აღმ. ლიტ-რაში (ხოსროვ დეპლევი, ჯამი, ნავოი, ფუზული). ქართულად ეს თემა დაამუშავა თეიმურაზ I-მა („ლეილმაჯუნნიანი“). ლიტ. ძეგლი ხალხში გავრცელდა ლექსნარევ პროზად გადაკეთებული სახით („ლეილისა და მაჯუნნის“ დასთან).

*გამოც.:* ნიზამი განჯელი, ლირიკა–ლეილი და მაჯუნნი, თარგმ. და წინასიტყვ. მ. თოდუასი, თბ., 1974; ნიზამი განჯელი, ლეილი და მაჯუნნი, სპარსულიდან თარგმნა მ. თოდუამ, თბ., 2021.

*ლიტ.:* მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი მ., თეიმურაზ პირველის ლეილ-მაჯუნნიანის სპარსული წყაროები, თბ., 1967; ს ვ ი ნ ტ რ ა ძ ე ნ., „ლეილი და მაჯუნნისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის ურთიერთმიმართებისათვის, „ენა და კულტურა“, 2014, №11.

**ა. გვახარია**

---